

# Programme

Romance for Violin and Orchestra No. 1 in G Major, Op. 40

Romance for Violin and Orchestra No. 2 in F Major, Op. 50

Ludwig van Beethoven is renowned for his groundbreaking symphonies, sonatas, and concertos. However, his lesser-known works also contain gems of beauty and expressiveness. The Romances for Violin and Orchestra No. 1 and No. 2 are two such examples that showcase Beethoven's prowess in crafting intimate and lyrical pieces for violin and orchestra. Composed in 1802 and published in 1803, the Romance in G major displays Beethoven's mastery of melody and his ability to evoke a serene and enchanting atmosphere. Opening with a graceful violin solo, the piece weaves through tender dialogues between the soloist and the orchestra. The Romance in G major embodies the early Romantic spirit, where beauty and emotional depth combine in seamless harmony. The second numbered Romance was actually composed before the first, but its publication was delayed until 1805, resulting in its higher opus number. Composed in 1798, the Romance in F major carries a sense of nostalgia and longing. In this work, Beethoven further explores the lyrical capabilities of the violin, employing a singing and expressive violin line that tugs at the heartstrings. The piece showcases Beethoven's gift for creating captivating melodies that are both elegant and emotionally charged. Though often overshadowed by Beethoven's more monumental compositions, the Romances for Violin and Orchestra exemplify his talent for crafting deeply expressive and evocative music on a smaller scale. The Romances offer a glimpse into the more introspective and sensitive side of Beethoven's musical language, adding to the richness and diversity of his artistic legacy.

Wolfgang Amadeus Mozart

Sinfonia Concertante in E-flat Major, K.364/320d

Wolfgang Amadeus Mozart wrote a vast array of exceptional works that continue to enchant listeners worldwide. Among these gems stands the Sinfonia Concertante in E-flat major, a remarkable composition that epitomizes Mozart's ability to blend technical brilliance with emotional depth. Composed in 1779 during Mozart's stay in Salzburg, the work is scored for violin, viola, and orchestra. The Sinfonia Concertante, as its name suggests, intricately blends elements of both symphony and concerto genres, resembling what would later be known as a double concerto for violin and viola.

later be known as a double concerto for violin and viola. However, what makes this piece truly remarkable is how it seamlessly unites these diverse dimensions into a wondrous and harmonious whole. This work, a synthesis of symphonic grandeur and solo virtuosity, has secured its place as a timeless masterpiece in the orchestral repertoire. It marks a departure from the traditional concerto format, as it highlights the interplay and dialogue between the two solo instruments and the orchestral accompaniment. This innovative approach to orchestration and ensemble writing contributes to the work's lasting appeal.

Johannes Brahms

Symphony No. 1 in C Minor, Op. 68

Johannes Brahms was renowned for his profound and emotionally charged compositions. His First Symphony marked a significant moment in his career, as it was his first symphonic endeavour. Often described as "Beethoven's Tenth" (it was Hans von Bülow, the renowned conductor, pianist, and composer, who bestowed this nickname upon the C minor symphony), this monumental work showcases Brahms' meticulous craftsmanship and mastery of orchestration, solidifying his reputation as one of the great symphonists of his time. Brahms began sketching ideas for his First Symphony in the early 1850s, likely encouraged by Robert Schumann, but it wasn't until 1876 that he completed and premiered it in Karlsruhe, Germany. The symphony's composition spanned more than two decades, with Brahms' own inner struggles and the weight of following in Beethoven's footsteps contributing to its extended gestation ("You can't have any idea what it's like always to hear such a giant marching behind you!" he wrote to his friend Hermann Levi in 1872). However, the result was a work of exceptional beauty and power that found a special place in the hearts of audiences and critics alike. The Symphony No. 1 stands as a testament to Brahms' musical legacy and remains a captivating and enduring favourite in the classical repertoire.

Meanwhile in Georgia...

As Brahms was finalizing his first Symphony, Georgia experienced the Svaneti uprising of 1875-1876. This rebellion was a response to the policies of Russian Tsar Alexander II's administration in Svaneti, a historical province located in the northwestern part of Georgia. The uprising represented the third and final armed resistance by Georgian mountaineers against the rule of the Russian Imperial authorities, with the previous two being the Mtiuleti rebellion of 1804 and the Kakheti revolt of 1812. Tragically, the uprising came to a close on August 27, 1876, as the rebels were captured and completely annihilated. Following the suppression of the revolt, all the participants involved were arrested. Despite receiving fervent sympathy and support from Georgian society, the individuals involved in the uprising were sentenced to

lengthy prison terms or even life imprisonment.

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

რომანსი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის No. 1 სოლ მაჟორი, თხზ. 40

რომანსი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის No. 2 ფა მაჟორი, თხზ. 50

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი ცნობილია თავისი ნოვატორული სიმფონიებით, სონატებითა და კონცერტებით. თუმცა, მის ნაკლებად ცნობილ თხზულებებშიც ვხვდებით მისი მუსიკისთვის დამახასიათებელ უზადო სილამაზეს, დრამატიზმსა და ექსპრესიულობას. რომანსები ვიოლინოსა და ორკესტრისთვის No. 1 და No. 2 ამის ნათელი მაგალითია. 1802 წელს დაწერილი და 1803 წელს გამოქვეყნებული პირველი რომანსი სოლ მაჟორი ავლენს ბეთჰოვენის ოსტატობას, შექმნას როგორც დაუვინყარი მელოდიები, ისე მშვიდი ატმოსფერო. ნაწარმოები იწყება ვიოლინოს მოხდენილი სოლოთი, რასაც მოსდევს ნატიფი და დახვეწილი დიალოგი სოლისტსა და ორკესტრს შორის. რომანსი სოლ მაჟორი ადრეულ რომანტიზმის ნიმუშია, სადაც სილამაზე და ემოციური სიღრმე ჰარმონიულად თანაარსებობენ. მეორე რომანსი, ფაქტობრივად, პირველზე ადრე დაინერა, მაგრამ მისი გამოქვეყნება გადაიდო 1805 წლამდე, რამაც გამოიწვია თხზულებების ასეთი ნუმერაცია. 1798 წელს შექმნილი ფა-მაჟორული რომანსი ნოსტალგიისა და მონატრების გრძნობებს უმღერს. ამ ნაწარმოებში ბეთჰოვენი კიდევ უფრო ღრმად იკვლევს ვიოლინოს ლირიკულ შესაძლებლობებს, ქმნის რა თავისი არსით სასიმღერო და ექსპრესიულ სავიოლინო პარტიას, რომელიც მსმენელთა გულის სიმებს ეხება. რომანსში ვლინდება ბეთჰოვენის ნიჭი მიმზიდველი, ელეგანტური და ემოციურად დატვირთული მელოდიების შექმნისა. მიუხედავად იმისა, რომ რომანსები ბეთჰოვენის უფრო მონუმენტური ნაწარმოებების ჩრდილშია, ისინი გვაჩვენებენ, რომ კომპოზიტორს ძალუძდა უფრო მცირე მასშტაბით მუშაობისასაც შეექმნა ღრმად გამომხატველი და ამაღელვებელი მუსიკა. რომანსების მოსმენისას შეგვიძლია თვალი შევაკლოთ ბეთჰოვენის მუსიკალური ენის უფრო ინტიმურ და მგრძნობიარე მხარეს, რაც მის შემოქმედებით შემკვიდრეობას სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას მატებს.

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

სინფონია კონჩერტანტე მი ბემოლ მაჟორი, K.364/320d

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა დაწერა არაერთი შედევი, რომელიც დღესაც ხიბლავს მსმენელს მთელს მსოფლიოში. ამ შედევრებს შორისაა სინფონია კონჩერტანტე მი ბემოლ მაჟორი,



რომელშიც ვლინდება მოცარტის ნიჭი, ერთმანეთს შეუხამოს ტექნიკური ბრწყინვალება და ემოციური სიღრმე. სიმფონია კონჩერტანტე შეიქმნა 1779 წელს მოცარტის ზალცბურგში ყოფნისას. დაწერილია იგი ვიოლინოს, ალტისა და ორკესტრისთვის. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ნაწარმოები აერთიანებს სიმფონიური და საკონცერტო ჟანრების ელემენტებს. მოგვიანებით რომ დაწერილიყო, სიმფონია კონჩერტანტეს ერქმეოდა ორმაგი კონცერტი ვიოლინოსა და ალტისათვის. ამ შედევრს გამოარჩევს ის, თუ როგორ აერთიანებს იგი მრავალფეროვან და კონტრასტულ ელემენტებს ჰარმონიულ მთლიანობაში. სიმფონია კონჩერტანტემ, რომელშიც სიმფონიური მასშტაბურობა ერწყმის სოლო საკრავების ვირტუოზულობას, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიმკვიდრა საორკესტრო რეპერტუარში. იგი შორდება თავისი დროის კონცერტის ფორმატს, რადგან გვთავაზობს არა ტრადიციულ დაპირისპირებას ორ სოლო ინსტრუმენტსა და ორკესტრს შორის, არამედ - მათ დიალოგს. ეს ნოვატორული მიდგომა ორკესტრირებისა და საანსამბლო წერისადმი ხელს უწყობს ნაწარმოების უსაზღვრო პოპულარობას.

იოჰანეს ბრამსი

სიმფონია No. 1 დო მინორი, თხზ. 68

იოჰანეს ბრამსი ცნობილია თავისი ღრმა და ემოციურად დატვირთული ნაწარმოებებით. მის პირველ სიმფონიას გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომპოზიტორის შემოქმედებაში, რადგან ეს მისი პირველი მცდელობაა, მიემართა სიმფონიური ჟანრისთვის. მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ბეთჰოვენის მეათე სიმფონიას“. ეს მეტსახელი ბრამსის პირველ სიმფონიას ცნობილმა დირიჟორმა, პიანისტმა და კომპოზიტორმა ჰანს ფონ ბულოვმა მიანიჭა. ეს მონუმენტური ქმნილება ავლენს ბრამსის მიერ საორკესტრო წერის ოსათატობას და აძლიერებს მის როგორც თავისი დროის ერთ-ერთი დიდი სიმფონისტის რეპუტაციას. ბრამსმა პირველ სიმფონიაზე ფიქრი ჯერი კიდევ 1850-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, სავარაუდოდ, რობერტ შუმანის წახალისებით, თუმცა მასზე მუშაობა მხოლოდ 1876 წელს დაასრულა. ნაწარმოების პრემიერა იმავე წელს შედგა გერმანიის ქალაქ კარლსრუეში. სიმფონიის შექმნის პროცესი ორ ათწლეულზე მეტ ხანს გაგრძელდა, რაც განაპირობა ბრამსის შინაგანმა ბრძოლებმა და ბეთჰოვენის ფაქტორის ზეწოლამ („ვერც კი წარმოიდგენ, როგორია, როცა მუდამ გესმის შენს უკან მომავალი გიგანტის ნაბიჯების ხმა“, - წერდა 40 წელს მიტანებული ბრამსი თავის მეგობარს ჰერმან ლევის 1872 წელს). თუმცა, ამ ბრძოლების შედეგი იყო განსაკუთრებული სილამაზისა და ძალის მქონე ნაწარმოები, რომელმაც უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა მსამყაროებისა და პროფესიონალების

დარსდეს სასაქონლო და სოციალური უფლებების გულებში და კლასიკურ რეპერტუარის ერთ-ერთ უპირობო ფავორიტად იქცა.

ამ დროს საქართველოში...

მაშინ, როდესაც ბრამსი თავის პირველ სიმფონიას ასრულებდა, საქართველოში მოხდა 1875-1876 წლების სვანეთის აჯანყება. ეს იყო პასუხი რუსეთის მეფის ალექსანდრე II-ის ადმინისტრაციის პოლიტიკაზე სვანეთში. ამბოხემა იქცა ქართველ მთიელთა მესამე და უკანასკნელ შეიარაღებულ დაუმორჩილებლობად რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების წინააღმდეგ (წინა ორი გახლდათ 1804 წლის მთიულეთის და 1812 წლის კახეთის აჯანყებები). აჯანყება ტრაგიკულად დასრულდა 1876 წლის 27 აგვისტოს, როდესაც ამბოხებულები შეიპყრეს და მთლიანად გაანადგურეს. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ყველა მონაწილე დააკავეს. ქართული საზოგადოების მხურვალე სიმპათიისა და მხარდაჭერის მიუხედავად, ამბოხებაში მონაწილე პირებს მიესაჯათ ხანგრძლივი პატიმრობა, ზოგს კი - საერთოდ თავისუფლების უვადო აღკვეთა.



31-10 September  
August 2023

5TH ANNIVERSARY

PROGRAMME NOTES  
BY NINO JVANIA